საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 12749/01
09/12/2021

12749-01-2-202112091422

შპს „ფუელ ინვესტმენტს“
მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 5, ბინა 25
ელ. ფოსტა: constructioninvest1@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი N20433 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავი) მოწყობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, შპს „ფუელ ინვესტმენტის” მიერ ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობა დაგეგმილია შპს „გურია ინვესტ ჯგუფის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, თუმცა სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ავტოგასამართი მოედნის გადახურვის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქმიანობის სპეციფიკიდან და მასშტაბიდან გამომდინარე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, თუმცა არ არს წარმოდგენილი ინფორმაცია, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს მსგავსი ობიექტების არსებობის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი სანიაღვრე წყლების მართვის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული სკრინინგის განცხადების სამინისტროში განმეორებით წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე